*ო ქ მ ი №5*

*ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის № 41 621 ბრძანებით შექმნილი მუნიციპალიტეტის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომისა*

*ქ. ბაღდათი* *17 იანვარი 2017 წ.*

*სხდომას ესწრებოდნენ:*

კომისიის წევრები: ზაალ ზივზივაძე, დარეჯან ნიკურაძე, ზაზა ჯაბიძე, ნოდარი ებანოიძე, გამგებლის წარმომადგენელის მ/შ ქ. ბაღდათში მ. ენდელაძე, გამგებლის წარმომადგენელი სოფ. ფერსათში ბონდო ჭელიძე, გამგებლის წარმომადგენლი სოფ. ზ/დიმში ეზეკი ჭრელაშვილი

სხდომის თავჯდომარე კახა გოგსაძე
მდივანი ნანა შოთაძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტში უფასო სასადილოთი მოსარეგებლე ბენეფიციართა რაოდენობის განსაზღვრა.
2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა სიის განსაზღვრა.
3. უფასო სასადილოს მომსახურებაძე სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს
1. 2017 წლის ბიუჯეტში უფასო კვებისათვის განსაზღვრული გამოყოფილი თანხის ოდენობიდან და კვირა დღის კვების დამატებიდან გამომდინარე, სასადილოს მომსახურე ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვროს 47 კაცით.

აზრი გამოთქვეს: კ. გოგსაძემ, დ. ნიკურაძემ, ნ.შოთაძემ, ზ. ზივზივაძემ, ზ. ჯაბიძემ, ნ. ებანოიძემ,

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:
2017 წლის 1 თებერვლიდან არსებული დაფინანსების ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვროს 47 კაცით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს
2. კახა გოგსაძის გამოსვლა, რომელმაც კომისის წევრებს წარუდგინა სასადილოს მომსახურების მსურველთა განცხადებები, სულ განსახილველად შემოტანალი იყო 52 განცხადება. განცხადების განხილვისას გათვალისწინებული იქნა ამ მოქალაქეთა სარეიტინგო ქულა და შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ინფორმაცია მისი ოჯახური მდგომარების შესახებ. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით კომისიამ ამ ეტაპზე შეარჩია 37 ბენეფიციარი.

აზრი გამოთქვეს: ნ. ებანოიძემ, ნ.შოთაძემ, დ. ნიკურაძემ, ზ. ზივზივაძემ, ზ. ჯაბიძემ, კ. გოგსაძემ,

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:
2017 წლის 1 თებერვლიდან უფასო სასადილოს მოსარგებლეთა სია განისაზღვროს 37 ბენეფიციარით (სია თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს

3. ნოდარი ებანოიძის გამოსვლა, სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ: 1. კვირაში კვებითი მომსახურეობა ნაცვლად 6 დღისა განისაზღვროს 7 დღით თანდართული მენიუს მიხედვით. 2. ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში მისი მდგომარეობიდან გამომდინარე მომწოდებელმა უზრუნველყოს მზა საკვების ოჯახში მიტანა.

აზრი გამოთქვეს: კ. გოგსაძემ, დ. ნიკურაძემ, ნ.შოთაძემ, ზ. ზივზივაძემ, ზ. ჯაბიძემ, ნ. ებანოიძემ,

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

2017 წლის 1 თებერვლიდან ბენეფიციართა კვება მოხდეს კვირის 7 დღეს. ბენეფიციარის სასადილოში მიუსვლელობის გამო მომწოდებელმა უზრუნველყოს ბენეფიციარის კუთვნილი ულუფის სახლში მიტანა.

კომისიის თავჯდომარე კ. გოგსაძე

წევრები ნ. შოთაძე

ნ. ებანოიძე

დ. ნიკურაძე

ზ. ჯაბიძე

ზ. ზივზივაძე